



10-ე განყოფილება  
სააღრიცხვო პოლიტიკა,  
შეფასებები და შეცდომები

# განსახილველი საკითხები

- სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა და გამოყენება;
- სააღრიცხვო პოლიტიკის უცვლელობა;
- განმარტებითი შენიშვნები;
- სრულ ფასს-თან შედარება.

# სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა და გამოყენება

თუ მსს ფასს სპეციალურად ეხება რომელიმე ოპერაციას, სხვა მოვლენას ან გარემოებას, საწარმომ უნდა გამოიყენოს ეს სტანდარტი. თუმცა, საწარმო ვალდებული არ არის, გამოიყენოს მსს ფასს-ის ესა თუ ის მოთხოვნა, თუ ამის გაკეთებას **არ ექნება არსებითი** გავლენა.

# მაგალითი – სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა და გამოყენება

**მაგ. 1 (1)\*.** მე-20 განყოფილების მოთხოვნების მიუხედავად საწარმო ყველა იჯარას, მათ შორის ფინანსურ იჯარას, აღრიცხავს როგორც ჩვეუბრივ იჯარას, ანუ საიჯარო გადასახდელებს აღიარებს ხარჯად. საწარმოს აქვს ფინანსური იჯარის მხოლოდ ერთი ხელშეკრულება, რომელიც ეხება ქსეროქსის აპარატის იჯარას და რომლის რეალური ღირებულება იჯარის ვადის დასაწყისში (20X8 წელს) 1,000 ფე-ს შეადგენს. 20X8 წლის 31 დეკემბრისთვის საწარმოს ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება აღემატება 90,000,000 ფე და მისი ვალდებულებები აღემატება 40,000,000 ფე, ხოლო მოგებამ 30,000,000 ფე შეადგინა.

## მართებულია თუ არა საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა?

მოსალოდნელი არ არის რომ ფინანსური იჯარის (1,000 ფე რეალური ღირებულებით) პირაპირ ხარჯად აღიარება გავლენას მოახდენს მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. საწარმოს შეუძლია არ აღიაროს საიჯარო აქტივები და ვალდებულებები.

*\* ფრჩხილებში მოცემულია მაგალითის ნომერი შესაბამისი მოდულიდან*

# მაგალითი – საადრიცხვო პოლიტიკის შერჩევა და გამოყენება

**მაგ 2(3).** პირობები 1-ლი მაგალითის იდენტურია, თუმცა აღნიშნულ მაგალტში საწარმო დებს ინდივიდუალურად უმნიშვნელო ბევრ საიტარო ხელშეკრულებას.

**მართებულია თუ არა საწარმოს საადრიცხვო პოლიტიკა?**

ეფექტის შეფასება უნდა მოხდეს ერთობლივად ყველა იტარისტვის. თუ საიტარო გადასახდელების პირდაპირ ხარტად აღიარებამ ერთობლივად შეიძლება გავლენა მოახდინოს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე, საწარმომ უნდა აღიაროს საიტარო აქტივები და ვალდებულებები.

# სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა და გამოყენება

- იმ შემთხვევაში თუ მსს ფასს სტანდარტი სპეციალურად **არ ეხება** რომელიმე ოპერაციას, სხვა მოვლენას ან გარემოებას, საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს და თვითონ შეიმუშაოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია იქნება უფრო შესაბამისი და საიმედო, უნდა დაიცვას შემდეგი თანმიმდევრობა:
  - ✓ 1: მსს ფასს-ის სხვა განყოფილებების მოთხოვნები და მითითებები, რომლებიც დაკავშირებულია მსგავს და მონათესავე საკითხებთან;
  - ✓ 2: გამოიყენოს მე-2 განყოფილება „კონცეფციები და ძირითადი პრინციპები“ - აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებები, მათი აღიარების კრიტერიუმები, შეფასების კონცეფციები და სხვა ძირითადი პრინციპები;
  - ✓ ასევე შესაძლებელია (**და არა აუცილებელი**) ფასს სტანდარტების სრული ვერსიის მოთხოვნებისა და მითითებების გათვალისწინება, რომლებიც ეხება მსგავს და მონათესავე საკითხებს.

# მაგალითი – სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა და გამოყენება

11

**მაგ 3(5).** კონკრეტულ რეგიონში ფერმერული საქმიანობის დასაწყებად საწარმომ არასამთავრობო ორგანიზაციისგან მიიღო გრანტი 50,000 ფე-ის ოდენობით.

**როგორ უნდა აღრიცხოს საწარმომ მიღებული გრანტი?**

მსს ფასს იძლევა მითითებებს მხოლოდ სახელმწიფო გრანტების აღრიცხვისთვის (24-ე განყოფილება).

ანალოგიის გამოყენებით საწარმომ ორგანიზაციისგან მიღებული გრანტი უნდა აღრიცხოს 24-ე განყოფილების შესაბამისად.

# სააღრიცხვო პოლიტიკის უცვლელობა

- ❑ უნდა აირჩეს სააღრიცხვო პოლიტიკა და უცვლელად მოხდეს მისი გამოყენება მსგავსი სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენების ან გარემოებებისათვის.



# განმარტებითი შენიშვნები

- ❑ განმარტებით შენიშვნებში **უნდა გამჟღავნდეს** საწარმოს მიერ გამოყენებული ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.

# შეღარება სრულ ფასს-თან

- ❑ უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.